ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№6, 28 სექტემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

ილია II - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და...
(ყველაფერი, რაც თითქმის ზუსტად მახსოვს)

ორიოდე წლის წინ ,,აღმოვაჩინე", რომ ამქვეყნად არც ისე ცოტახანს მიცხოვრია და მნიშვნელოვანი ფაქტების შემსწრეც ვყოფილვარ. გადავწყვიტე, წარსულში ჩარჩენილი, მაგრამ მომავლისთვის არცთუ უინტერესო დეტალები ქაღალდზე გადავიტანო და ამით გარკვეული სამსახური გავუწიო მათ, ვისაც ეს ყველაფერი ან სხვაგვარად სმენია, ან სულაც არ სმენია. პირველ ნაწილში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე – ილია II-ზე მოსაზრებებსა და უშუალოდ ჩემი ყურით მოსმენილსა და ჩემივე თვალით ნანახზე გიამბოთ...

მასზე, როგორც ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელზე, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, მითუმეტეს, დღეს, როცა იერიშით მიდის ქრისტიანობასა და დედა-ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ,,მავანთათვის" სასურველი შედეგით არის მიღწეული. (რატომ და რისთვის, – ეს ცალკე თემაა) არსებობს არაერთი გამოცემა, რომელიც ილია II-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის შინაგან თვისებებზე და პიროვნების თავისებურებებზე მოგვითხრობს, აგრეთვე, ბერ-მონაზვნებისა და იმ, ქართველი თუ არაქართველი ადამიანების შთაბეჭდილებებს, რომელიც პატრიარქის ერთი ნახვისთანავე იქმნება.

ილია II პირველად 1989 წლის 9 აპრილის ღამეს დავინახე. ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გამართული მიტინგების დღე-ღამეები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით. იყო მგზნებარე გამოსვლები. იმ ხანად გაზეთ ,,ლიტერატურულ საქართველოში" სისტემატურად იბეჭდებოდა ჩემი წერილები, საიდანაც მოვუწოდებდი ჩემს ოსებსა და აფხაზებს, აგრეთვე, ქართველებსაც, ერთმანეთი დაენდოთ და ბზარის ნიაღვარს არ წაელეკა ჩვენი ღირსეული წარსული. 9 აპრილის ღამესაც მე და ჩემი 18 წლის ვაჟი მიტინგზე ვიმყოფებოდით. შუაღამე იდგა, როდესაც გავრცელდა მითქმა-მოთქმა – სპეცრაზმების ტანკები აპირებენ მიტინგის დარბევასო. უეცრად, ზურგში აუტანელი ტკივილისგან გავშეშდი. მიკროფონთან დადგა ილია II. თითქმის სიტყვა-სიტყვით მახსოვს მისი ნათქვამი:

,,ქრისტიანებო, ჩემო შვილებო, დებო და ძმებო! თქვენ უშიშრად დადექით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე! თქვენ უკვე გმირები ხართ! მე ზუსტი ცნობა მაქვს იმის შესახებ, რომ ტანკები ნამდვილად მოემართებიან მიტინგის დასაშლელად, რასაც მსხვერპლიც მოყვება. ქრისტეს სახელით მოგმართავთ, ნუ გაიღებთ ასეთ მსხვერპლს! თქვენ სჭირდებით საქართველოს, თქვენ უნდა შექმნათ ოჯახები და გააჩინოთ შვილები, რომლებიც უსათუოდ იცხოვრებენ დამოუკიდებელ საქართველოში! აჩქარებით ნუ გავწირავთ საქართველოს მომავალს! საქართველოში და მთელ რესპუბლიკებში ისეთი პროცესებია, რომ, ადრე თუ გვიან, დამოუკიდებელნი ვიქნებით! დავიშალოთ, შევიდეთ ეკლესიაში და ვილოცოთ საქართველოსთვის, გმირთა სულებისთვის, ნათელი მომავლისთვის! შვილებო, დებო, ძმებო, ისედაც მცირერიცხოვან საქართველოს ახალი მსხვერპლი არ სჭირდება!"

ცოტა ხნით სრული სიჩუმე ჩამოწვა. დავინახე, როგორ შეაშველეს ხელი შეწუხებული სახის, ფეხზე მდგომ პატრიარქს. ზვიად გამსახურდიამ ხმამაღლა იკითხა: „რას იზამთ, დაიშლებით?" „არა!" – იყო მტკიცე პასუხი. მერე ერთბაშად ყველაფერი აირია. მიკროფონთან აქტიურად მომწოდებელნი უეცრად გაქრნენ, ხოლო პატრიარქს, მოგვიანებით, მცველებმა სწრაფად მოკიდეს ხელი და ვხედავდი, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, თითქმის ძალით მოაშორეს იქაურობას. ტანკების გრუხუნითა და ხელკეტებით ,,დამშვენებული" ჯარისკაცების კოლონაც დაიძრა. დაერივნენ ხალხს და მათი აჩეხვა დაიწყეს!.. ტანკების გრუხუნში თითქოს სიცოცხლე ჩაჩუმდა...

ეროვნული მოძრაობის წლებში ვამბობდით, რომ საბჭოთა ,,უძრაობის" ხანიდან უნდა გამოვიდეთო. დღეს კი ვფიქრობ – ის ჩემი გაშეშება იქნებ იმის ნიშანი იყო, რომ პირიქით, იმდენი და, არცთუ დაფიქრებულად ვიმოძრავეთ, (თუნდაც, პატრიარქის შეგონება რომ არად ჩავაგდეთ), რომ იმ ,,უძრაობის" ხანას ,,გავუსწარით" ერთ ადგილზე გაშეშებით, ხალხის კეთილდღეობის საწინააღმდეგო მიმართულების წერტილზე?!

ჩემი მეორე შთაბეჭდილება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე ქრისტიანულმა დიპლომატიამ (თუ შეიძლება, ასე ითქვას) მოახდინა.

ეს ის წლები იყო, როდესაც არა მხოლოდ ოსები და აფხაზები, რუსეთის პროვოკაციის გავლენის ქვეშ მოქცეულ კავკასიაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ საქართველოს მათდამი კეთილგანწყობას. ამასთან, თავად ქართველებიც ერთმანეთს დაესივნენ, პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ ,,მოთამაშეთა" მიერ წაქეზებულები.

გავიხსენებ საპატრიარქოში ერთ-ერთ შეხვედრას, რომელსაც ქართველების გარდა, სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებიც ესწრებოდნენ.

,,არ არსებობს ერი, ვისაც არა აქვს რაიმე საამაყო, ან არც თუ სასურველი ისტორიული მომენტები. ქართული სირცხვილის განზოგადება კარგა ხანია, მოახდინა მწერალმა ლევან სანიკიძემ თავის წიგნში, სადაც იმ შეცდომებზე და ცოდვებზე საუბრობს, რაც ქართველ ერს გამოუვლენია საკუთარი თავის მიმართ. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველო სხვა ქვეყნის ტერიტორიების წართმევას კი არა, მუდმივად თავისი მიწა-წყლის დაცვას ცდილობდა. ორ მაგალითს მოვიყვან, რომელიც ამტკიცებს, რომ არც ისე ცუდი ხალხი ვართ ქართველები." – პატრიარქმა ისეთი მოკრძალებითა და ღიმილით განაგრძო, რომ დარბაზი მეტი ყურადღებით დაიძაბა.

,,არცთუ დიდი ხნის წინ, მაგრამ იმ წლებში, როდესაც სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული, საქართველოში დიპლომატიური მისიით ჩამობრძანდა უცხოელი ქალბატონი (გვარი ვერ დავიმახსოვრე – მ. ხ.). მან მთხოვა, შეეშვათ ისეთ პატიმართან, რომელსაც რამდენიმე დღეში დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. სტუმარი შეუშვეს ერთ-ერთი ასეთი პატიმრის საკანში. პატიმარი, ქალის დანახვაზე, სწრაფად წამოდგა, პერანგის შეხსნილი ღილები უცებ შეიკრა, თმაზე ხელი გადაისვა და მოკრძალებული ღიმილით სთხოვა, დაბრძანდითო. გარკვეული დროის შემდეგ ეს ქალბატონი პრაღის გაზეთში წერდა: ,,რამდენ პატიმარს შევხვედრილვარ, რომლებსაც საათები ჰქონდათ სიკვდილამდე დარჩენილი და არცერთი არ მინახავს ასეთი ზრდილი, მშვიდი და მამაკაცურად ღირსეული. ჩემი პრაქტიკის მანძილზე პირველად საქართველოში ვნახე კაცი, რომელიც სიკვდილის წინაც მამაკაცად დარჩა..."

დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოწვა. პატრიარქმა ჩუმად წარმოთქვა: **,,თურმე, არც ის ცუდები ვართ ქართველები, არა?** მეორე მაგალითსაც გეტყვით და მეტს აღარ შეგაწუხებთ" – თქვა პატრიარქმა და მალულად ცრემლი მოიწმინდა.

– თქვენ იცით, რა ხდება თბილისში, როგორი გაჭირვებით მოძრაობს ტრანსპორტი, ხალხი ავტობუსებში ჩაჭედილი მგზავრობს, საფეხურებზეც დგას. ეს ჩვენი უცხოელი დამკვირვებელი ქალბატონი კი, ქუჩაში, თურმე, ასეთი ფაქტის მოწმე გამხდარა: გაჭედილი ავტობუსი თითქმის დაიძრა, რომ ხნიერი ქალი მთელი ძალით აეკიდა ავტობუსს, ცდილობდა, როგორმე ასულიყო. საფეხურებზე მდგარმა ქალმა და კაცმა ხელი სტაცეს, ძლივს აათრიეს და შიგნით, ხალხის გაწევა-გამოწევის მცდელობით, მძიმე ჩანთიანი ქალი, როგორღაც შეიყვანეს. წინა სკამზე მჯდომმა მოხუცმა მამაკაცმა ,,ძლივს შეტეულ" ქალს ადგილი დაუთმო. მხოლოდ ამ ორი მაგალითით ბევრი რამ შეიგრძნო საქართველოში პირველად მყოფმა უცხოელმა ქალბატონმა და თავისი გაოცება-აღფრთოვანება ვერ დამალა... ჰოდა, იმას ვამბობდი: **ბევრი რამ შეგვშლია ქართველებს, იქნებ, ბევრჯერ უანგარიშოდაც წამოგვისვრია სიტყვები, მაგრამ მხოლოდ ეს ორი მაგალითი იქნებ იმაზე მეტყველებს, რომ, მაინც, არც ისე ცუდი ხალხი ვართ ქართველები? მე მინდა, თქვენც გაიხსენოთ თითოეული თქვენგანის მსგავსი მაგალითები, რომლის შემდეგაც გვექნება უფლება ვთქვათ: „ნუ შევიძულებთ ერთმანეთს, იქნებ ჩვენ, ადამიანები, არც ისე ცუდები ვართ?"**

წამიერი სიჩუმის შემდეგ ტაშმა იგრიალა. ჩემი აზრით, ეს იყო ქრისტიანობის, დიპლომატიისა და ადამიანის გულში ჩახედვის დამაფიქრებელი მაგალითი. ილია მეორის სიტყვამ ნებისმიერი ეროვნების ადამიანის სული გაათბო.

ჩემი და პატრიარქის მესამე შეხვედრა 2011 წლის შობის ღამეს, საშობაო წირვისას შედგა, როდესაც, სრულიად მოულოდნელად, გამოაცხადა, რომ მაჯილდოებს წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. დაბნეულს, არც მჯეროდა, რომ ეს პატივი მართლა მე მერგო! მახსოვს ჩემი გაოცებული სახე და კითხვების კორიანტელი:

– კი, მაგრამ, თქვენო უწმინდესობავ, რით დავიმსახურე ეს ჯილდო? უამრავი შეცდომა და ცოდვა მაქვს ჩადენილი(პატრიარქი ღიმილით მისმენს), ვერც ეკლესიური ცხოვრებით დავიკვეხნი, ლოცვებიდან მხოლოდ „მამაო ჩვენოს" ვკითხულობ, ისიც, ზოგჯერ, მავიწყდება (პატრიარქი კვლავ ღიმილიანი სახით მისმენს, სიმშვიდით, თითქოს აქ არც არის), აღსარება არასდროს მითქვამს(სასოწარკვეთა მეძალება)... იცით, რომ მოძღვარიც არასდროს მყოლია?! აქ უკვე შემაჩერა პატრიარქმა:

– მაშ, ახლა მე ვინ ვარ? – აღსარებაც ჩაბარებულია! არსებობს მონა ღვთისა და მეგობარი ღვთისა. მონა ღვთისა სკურპლიოზურად, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს საეკლესიო ყველა რიტუალს, ამას ინსტინქტურად აკეთებს, ჩვევის მიხედვით, ხოლო მეგობარი ღვთისა შეგნებულად, ქრისტიანული ისტორიის ცოდნით აღსავსე, იცავს ამ წესებს გონების თვალითაც, მხოლოდ ეს არის განსხვავება, თორემ ორივე მორწმუნეა და ორივე ქრისტიანი, ორივე სჭირდება სარწმუნოებას.

პატრიარქის ამ სიტყვებმა თითქოს წამში შეცვალა და გაასხივოსნა ჩემი ცნობიერება... იმასაც მივხვდი, თუ როგორი ობიექტურობით შეაფასა მან ჩემი, როგორც ოსური წარმოშობის ქართველი მწერლის როლი ძალად თავსმოხვეულ ე. წ. ქართულ-ოსური კონფლიქტის ქარ-ცეცხლში, რომლის უსამართლობამ და იმპერიის ხელით მართვამ ოსებიც და ქართველებიც თანაბრად დაგვაზარალა! პატრიარქის სწორი, დიპლომატიური და გონივრული სვლები არაერთი საკითხის ნაკლებად მტკივნეულად მოგვარების საწინდარი იყო. მესამე შვილის მისი მონათვლით მან გამრავლების სტიმული მისცა ქართველ ერს. მასვე ეკუთვნის შაბათობით წიგნის კითხვისა და ოჯახის სიწმინდის დღის დაარსებაც.

ილია მეორემ ალბათ, უკეთ იცის, რომ ბოროტების დამარცხება მხოლოდ კეთილი გულითა და დინჯი გონებით არის შესაძლებელი.

ყველაფრის ჩამოთვლა შორის წაგვიყვანს... დრო თავად შეაფასებს ყველაფერს...

მზია ხეთაგური – მწერალი, საზოგადო მოღვაწე

სტუმარი რედიონიდან

ოლმო ქანნაია

* * *

სარკმელს მოადგა
უგრილესი დილის სისხამი,
უეცრად შაშვი აჭახჭახდა
ბებერ ცაცხვებთან,
ფიქრის მთამ სევდა
მოიხურა, ვით მოსასხამი,
შაშვის გალობას ელვა-ჭექით
ქუფრი ცაც ჰყვება.
მე დამაჩოქა ცხოვრებამ და
ტკივილის ქვა-ღორღს
მძიმედ ვეცემი იდაყვებით,
შუბლით, მუხლებით,
ამაზე დიდი განსაცდელი
რა უნდა ვნახო?! –
როცა სულიც კი აღარ
შემრჩა გადაუყვლეფი...
გულიდან შენი მონატრების
მძაფრი განცდები
სკადანგრეული ფუტკრებივით
წამოიშალნენ,
იმედის ლურჯი და
კამკამა ზეცა ბაცდება,
გულს სიხარული სწყურია და
თვალებს – სიმშრალე.
შენ თუ ჩაქრები, შენ თუ
გახვალ ამ სამყაროდან,
ჩემთვისაც უმალ ჩაინგრევა
სამყაროს ფსკერი,
გადავვარდები, როგორც წიგნი
გულის თაროდან,
მეც იმით ვცოცხლობ, რომ
მიყვარხარ, ცოცხალს გიცქერი.
შენ ჩემი სევდა და
ტკივილის განცდა დაგარქვი
და ვიცი, ვიცი, ეს ტკივილი
ბოლოს მომიღებს...
და უსაშველოდ მეშინია
შენი დაკარგვის,
ჯერ დუმხარ, მაგრამ
იმედი მაქვს, ხმას ამოიღებ!
უნდა იცოცხლო, უნდა შეძლო,
უნდა გამხნევდე,
მე ხელს გიწვდი და
ამოგიყვან იმედის გემზე,
ტრფობის ქიმიდან
ვნების ზღვაში გადაგახედებ,
ოღონდ, მოდი და...
გულის ბზარი ამომიკემსე.

ჩემი ოთახი

ჩემი ოთახი ყველაზე პატარა და ძველმოდურია
ნაქირავებ ბინაში.
ჩემი ოთახის კედლებზე ოცდაათი წლის წინ
გაკრული შპალერი
სიძველისგან გაყვითლებული, გაცრეცილი და
ალაგ-ალაგ ამოხეულია.
ჩემს პატარა ოთახს ლაქწასმული
ხის ერთი დიდი ფანჯარა აქვს, ქარში ჭრაჭუნა
და მინაგაბზარული,
ხისავე შტორითა და აბრეშუმის
ქვიშნისფერი ფარდით.
სარკმლის რაფაზე აღაჟღაჟებული ბალბა და
ტიტა ჰყვავის თიხის ქოთნებში.
ჩემი ოთახის ჭერი ბათქაშჩამოყრილი და
საღებავგახუნებულია,
რომელზეც უბრალო ჭაღი მწიფე ლეღვივით
ჰკიდია ოქროსფერი ლითონის ჯაჭვზე.
ჭაღის ირგვლივ თაბაშირით გაკეთებული
ყვავილების დეფორმირებული ორნამენტებია.
დაწოლილი, ჭერს რომ ავყურებ, მონაცრისფრო და
შავ ლაქებში ნაირ-ნაირ ფიგურებს ვხედავ...
ჩემი პატარა ოთახის ერთ-ერთ კედელზე,
პრიალა სარკის მარჯვნივ, ხატებია
ჩამოკიდებული
წმინდა გიორგის, იესოსი და ღვთისმშობლის,
სადაც სულდამძიმებული ავიტუზები ხანდახან
და ''მამაო ჩვენოს'' ვბუტბუტებ ჩუმად...
ერთ-ერთ კედელზე წიგნების თარო...
ჩემი ზამბარებიანი რკინის საწოლი ვიწროა და
ჟანგმოკიდებული,
რომელიც ჩემი გადაბრუნებისას ჭრიალებს ხოლმე, –
ორი ბამბის ლეიბითა და ფუმფულა,
არაერთხელ, ცრემლით დანამული ბალიშით,
ბოშებთან ნაყიდი, ქათქათა ზეწრებით მორთული...
შეყუჟული ვარ ჩემს პატარა, 200 ლარად
ნაქირავებ ოთახში
და ვცხოვრობ ჩემთვის, უბრალოდ და ერთფეროვნად.
ეს პატარა ოთახი მომსწრეა ჩემი ღიმილის, ჩემი
მწუხარების, ჩემი ქვითინის,
ჩემი სასოწარკვეთის, ჩემი აღტაცების,
ჩემი დაჩოქების, ჩემი სიმღერის, ჩემი ცეკვის,
ჩემი გაოცების...
წამოწოლილი რომ ვაკვირდები
დღის და ღამის ცას, ვარსკვლავდახუნძლულს,
მჯერა, რომ ჩემს პატარა ოთახს თვალები აქვს –
მეტყველი და ნაღვლიანი თვალები,
ჩუმად მიყურებს, და ჩემი მოსმენა,
თანაგრძნობაც კი შეუძლია,
ვინ იცის, იქნებ ჩემთან ერთად იძინებს კიდეც...
მე მიყვარს მისი საღებავგახუნებული
და დალაქავებული ჭერი,
ძველი პარკეტის იატაკი,
შპალერგაყვითლებული კედელი, რომელსაც
შუბლით და ხელისგულებით არაერთხელ
მივყრდნობივარ,
ის არის ჩემი გოდების კედელი...
ჩემი ოთახი ღარიბ ბერიკაცს მაგონებს,
სიბერისგან კანდაჭმუჭნულს, ხელებდაკოჟრილს
და თმაწვერგათეთრებულს,
გახუნებული შარვლითა და ლანჩაგაცვეთილი
ფეხსაცმელებით.
ჩემი ოთახი ალბათ ყველაზე ვიწრო და პატარაა
დედაქალაქში,
მაგრამ მყოფნის, მაგრამ ვეტევი...

* * *

სულში დემონების ღავღავია,
უნდა გავაღწიო ამ ღამიდან,
ფიქრი, კაეშანი, უძილობა,
უშენოდ სუნთქვაც კი აღარ მინდა.
ფრთანაღრძობ ჩიტებად დავიშალეთ,
გავყევით ტკივილის ქარიშხალებს,
სული ცრემლის თქორით გალუმპული,
შენი მონატრებით გავიმშრალე.

სოფლის პეიზაჟი

გადაფერდილი დგას გომურთან ძველი საბოცრე,
შიშით გაჟღინთა მიწის შრენი ცივმა რუმ, – ბნელი,
იქნებ, ასპიტი, ფულუს გათხრილ ხვრელშიც ამოძვრეს,
ცაზე გორაობს ყრუ ბელივით ციდა ღრუბელი.
ხარდანის ვაზი მოეხვია და სარს აკოცა,
ლორთქო ბალახში კუნტრუშობენ ჭრელი ხბოები,
დოლენჯაშვილის დახატულს ჰგავს საარაკო ცა,
სიომ დაყნოსა გრილი ფშნები და ხაბოები.
ბაღჩაში შაშვმა გადაკენკა მწიფე მოცხარი
და უნაზესი ხმით გალობდა ტოტზე ძახველის,
ხაჭაპურივით დევს ზეცაზე მზე – გამომცხვარი,
მამამ საყურძნედ გაამზადა ხის საწნახელი.
ფოთოლი მოლზე გაიშოტა, ნაფარფატალი,
გრძელი ტოტები ბეღურებით რომ გაივსო ბლის,
ღამე მოვიდა ორღობიდან ბანცალ-ბანცალით
და უცებ სევდა შემომაწვა დაცლილი სოფლის.

* * *

ფიქრი შევწყვიტე და გავისუსე,
ტკივილო, ნეტავ, როდის გამივლი!
ეს სტროფი ახლა მაწვება სულზე,
ახალშობილი ბავშვის გვამივით...
განვიცდი, ვღელავ, რაღაც მიჭირს,
საკუთარ თავს ვერ ვუსვამ დიაგნოზს...
ახლა ვარ ერთი სოფლელი ბიჭი,
ხვალ ჩემში პოეტს უნდა მივაგნო.
მზეს გუშინდელზე მეტი აქვს სითბო,
გზას ფარავს თოვლი, წვრილად გაცრილი,
მიმასვენებენ!.. ჩემს ცხედარს, თითქოს,
მეც უკანასკნელ გზაზე ვაცილებ.
ჯანღმა დაფარა სალი კლდის წვერო,
მუდმივად ვებრძვი დარდის ქიმერებს
და, ალბათ, ლექსებს იმიტომ ვწერ, რომ
ჩემში დაბმულ მხეცს ვათვინიერებ...
ავყურებ ზეცის მომნუსხველ ლივლივს,
ცის ფსკერზე ნაპოვნ იმედებს ვუმზერ,
ჯერ ცოცხალი ვარ და კიდევ ვივლი,
ამ დედამიწის ხორკლიან ზურგზე!

* * *

მზე ჩავარდა ღრუბლის ნავში
და ცამ წვიმა წამოროშა,
შენი თმა კი გრილ ნიავში,
ფრიალებდა, როგორც დროშა.
სამყაროდან გარიყული,
დგახარ ოცნებების ქოხთან,
უბედობის ალიყური
გულზე უმწარესად მოგხვდა.
შენამდე რომ სწორი გზა ჩანს,
მას დრო ბევრჯერ გაამრუდებს,
გული რადგან ჩემთან დაგრჩა,
საეჭვოა, არ დაბრუნდე.
მონატრების გრძნობამ, ალბათ,
სიკვდილამდე უნდა გვტანჯოს.
სული ცრემლის ნამში დალბა,
სულს სულ როგორ ვუდარაჯო!
მომწყურდება ტკბილი კოცნა
ამ სტრიქონთა ადრესატის,
რად წახვედი მაშინ, როცა
ჩემ სულს დაუნათესავდი?!

პოეტის ერთი ლექსი

მხოლოდ მესამე

როს მშობლიური სურნელისგან ქარი გაგძარცვავს
და ავდრისფერი კაბის შრიალით
მოგეახლება დედინაცვალი, ავის მსურველი – დასანანია!..
ხშირად სახელს ვერც კი დაარქმევ,
ერთდროულად რომ ტკივილიც გაქვს და სიყვარულიც!
ცხოვრების ზღვაში განძით სავსე გემსაც, იქნებ ამაზე მეტად
დამუქრებია, შტორმის სახით, საშიშროება
გამორიყვის ან ჩაძირვისა...
ერთი ნაპირი სიცრუით და სიძვით სავსეა!
აი, მეორეც! – ჭრელაჭრულა ფერებით მოსილთ
ზე აღუმართავთ ჭრელი დროშა,
თუმცა, გარკვევით ვერავინ გეტყვის, ვის იცავენ, ან რას ელიან!..
მზე შუბისტარზეც ვერ ასწრებს ასვლას, რომ ხვდები,
აქაც იგივეა და, მსგავსად სხვათა,
შენც, შენი დროის უმხურვალეს ღადარში იწვი!..
რადგან გრძნობ, თურმე,
გაცემული – არა შენია! არცა სხვისია, –
ზე ნისლად ადის, შემდეგ კი, ალბათ, ნალექად
შეერთვება მიქცევ-მოქცევას!
რაღაცა ახლის ძიებაში იწრთობა სული
და, ჰა, იმედად, წუთისოფლით ნაგვემი მდგმური
შორს, ჰორიზონტზე ამჩნევ ნაპირს, მესამე ნაპირს,
რომელიც, თურმე, სულთა კვნესამ გამოიგონა...
თურმე, ამ ნაპირს იშვიათად დაეძებს ვინმე,
რადგან ცხოვრებას, რახანია, დაზავებიან...
იქ – მარტოსულთა სავანეშიც ძნელია ყოფა,
რადგან სარკმლიდან, რაც მესამე ნაპირს აქვს მხოლოდ,
რეალურ ხედებს სამყაროსას, მიელტვის თვალი...
პირველს და მეორეს შორის კი,
თანაბარი სიმჩატით დააქვთ სიძულვილით და
სიყვარულით სავსე ტომრები!
თუ სურთ, შარბათად შეასმევენ ერთურთს საწამლავს –
ვნება რომ დაცხრეს წუთისოფლის ატრაქციონზე...
ბუნებრივია, სული ელტვის მესამე ნაპირს! –
რწმენისა და სინათლის ნაპირს,
სადაც არავის უჩხრიალებს არცერთი ვერცხლი!..
(შესაბამისად, არც გაყიდვა არ გემუქრება!..)
დგას სამრეკლოსთან გაცრეცილი სტიქარით მნათე...
იქვე სიმშვიდის მთები დგანან და ამ დუმილში
გაცხადებულა ამა სოფლის ამაოება...
მომწონს ნაპირი, არც – პირველი და არც – მეორე,
მხოლოდ – მესამე, სადაც თეთრი ღუზა ჩაეშვა...
ღმერთმა ნუ ქნას და, თუკი,იქაც დანაღვლდა გული,
ნაპირს, მეოთხეს, აღარავინ გამოიგონებს!..
ზეცის სარკმლიდან თუ გადმოკრთა იმედის სხივი,
დაიმსხვრევა და უგზო-უკვლოდ გაიფანტება...
მომწონს ნაპირი, არც – პირველი და არც – მეორე,
მხოლოდ – მესამე!..
განრიდების სამოთხურ სამყოფს, იცავსო, თურმე,
ღვთისმშობელის კალთა... თვალები...
რა ძვირფასი და უბრალოა განძი იმ გემის –
ნაპირთშორისი სიძულვილი რომ ვერ იტვირთა!
ზღვა სევდიანი თვალით უმზერს კაცთა მარათონს, –
ფინიშთან მხოლოდ ერთი დროშა აღიმართება!
უფლის ჯვარცმასთან თავს მახსენებს დათმენის ვალი...

კლარა გელაშვილი

ექსპრეს-ინტერვიუ კლარა გელაშვილთან

– საიდან იწყება კლარა გელაშვილი?
– დედის თვალების ფსკერიდან.
– პირველი ლექსი...
– 10 წლის ასაკში.
– წლების გადასახედიდან, როგორ ფიქრობ, ცხოვრება მშვენიერია?
– ცხოვრება ბრძოლის ველია, მშვენიერი მხოლოდ სიცოცხლეა...
– ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეთ. რას ან ვის გაიხსენებდით?
– სამი შვილი მყავდა, სტუდენტი რომ გავხდი, – იმ ასაკში, როცა ყველაზე მეტად გესმის და გრძნობ, რა უნდა აკეთო. ბედნიერი ვარ, რომ შეხება მქონდა ისეთ კორიფეებთან, როგორიც იყო ნოდარ მესხრიკაძე, ვენერა სომხიშვილი, გენადი ბურჭულაძე, შოთა ქურდაძე... დღემდე ვმეგობრობ თამილა გოგოლაძესთან, ზაზა ცოტნიაშვილთან, ვიანორ ახალაიასთან... აქ მეორედ მოვინათლე! განსაკუთრებული სიამაყე შემძინა სახელმწიფო გამოცდაზე შოთა ქურდაძის სიტყვებმა: „ახლოს მოდი, გულში უნდა ჩაგიკრა... ბედნიერი ვარ, რომ შენ ჩვენი კურსდამთავრებული გერქმევა“... თუნდაც, მხოლოდ ამ სიტყვებისთვის ღირდა ჩემი სტუდენტობა.
– თქვენი ხასიათის მთავარი თვისება...
– მებრძოლი, მაქსიმალისტი...
– ლექსიდან პროზაში გადაინაცვლეთ, – მიზეზი?
– არ გადავინაცვლე, პროზაულმა სამყარომ
დამაფიქრა.
– ბოლო ნაშრომი...
– ახლახან დავასრულე დისერტაცია თემაზე „ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“.
– საყვარელი ისტორიული გმირი...
– რომელი ერთი ჩამოვთვალო? განსაკუთრებით – დიმიტრი ყიფიანი.
– სამაგიდო წიგნი...
– „დედაენა“, „დათა თუთახშია“, „დიდოსტატის მარჯვენა“...
– ვის შემწეობას გრძნობთ განსაცდელისას?
– უფალი... დიმიტრი ყიფიანის სული და დედაჩემის აჩრდილი არ მშორდება...
– ერთგან წერთ, რომ სარეცელზე სიკვდილი არ გსურთ...
– ნამდვილად! მინდა, რაღაც დიადს, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს შევეწირო...
– რისი შენარჩუნება გსურთ?
– თვითმყოფადობის, ეროვნულობის, ტრადიციის, გენის, სიმშვიდის...
– წერის გარდა, რა საქმიანობა გამშვიდებთ?
– ყვავილების მოვლა, ვაზის ახვევა, ტაძარში განმარტოება და ხატებთან ჩურჩული...
– როგორი თვისების მქონე ადამიანი მოგწონთ?
– პირნათელი – ყველასა და ყველაფრის წინაშე.
– რა არის წუთისოფელი?
– სასტუმრო...

ინტერვიუ ჩაიწერა პოეტმა
შოთა დარბუაშვილმა

ნახატის ავტორი ხაშურის I საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე **სალომე ლომიძე**

ავტორი
სალომე ლომიძე

ხელოვანთა ოჯახი

„დედა ნახე მამა ნახე, შვილი ისე გამონახე...”

საქართველოს ყველა კუთხეს, ქალაქსა თუ სოფელს მისი მკვიდრი, ტრადიციებით, კულტურული მემკვიდრეობითა და ნიჭიერებით გამორჩეული ოჯახები ამშვენებენ. არც თუ იშვიათად, მათი შთამომავლები მათი ღირსეული მოღვაწეობის გამგრძელებლად გვევლინებიან.

10 სექტემბერს, ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის – მაკა დიდებულიძის მიერ ორგანიზებულ სალონურ საღამოზე, ერთ-ერთმა, ასეთმა გამორჩეულმა – ტაგანაშვილების ოჯახმა ხაშურის შემოქმედ და ხელოვნების მოყვარულ ადამიანებს უმასპინძლა და საკუთარი შემოქმედება გააცნო.

ვასილ და ბარბარე ტაგანაშვილების ოჯახი

დები – ნათელა, ცისკარი და ბარბარე ტაგანაშვილები ხაშურში დაიბადნენ და სასკოლო განათლებაც აქ მიიღეს. ამჟამად, თბილისში ცხოვრობენ, თუმცა, მშობლიურ ხაშურს არ ივიწყებენ. სხვადასხვა პროფესიის მქონე ქალბატონები ხელოვნების სამყაროში ბინადრობენ. მუსიკა და პოეზია მათი შთაგონებაა, რომელიც სათავეს წინაპრებიდან იღებს.

პაპა ხაშურის რკინიგზელთა გუნდის სოლისტი – ვასილ ტაგანაშვილი სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა, ლექსებსაც წერდა. მუსიკალობით გამოირჩეოდნენ მისი ვაჟებიც – როინ, გურამ და ოთარ ტაგანაშვილები.

ამრიგად, დები ტაგანაშვილების შემოქმედებითი ნიჭი გასაკვირი არ იყო. უფროსი დის – ქ-ნ ნათელას მისწრაფებას – სხვადასხვა ინსტრუმენტის ფლობის გარდა, საკუთარი ნაწარმოებებისათვის მიეცა გასაქანი, ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი:

წლების წინ იგი მეგობარს სტუმრობდა, სადაც საკუთარი სიმღერა შეასრულა. იქ იმყოფებოდნენ რევაზ ლაღიძე და მერი დავითაშვილი.

ქართული სიმღერის კორიფე კომპოზიტორებს მოეწონათ გოგონას სიმღერა და მელოდიის სანოტო რვეულში გადატანა სთხოვეს. ძალიან მალე სიმღერის ნოტები მაშინდელი ,,პიონერთა სასახლის” გაზეთში დაბეჭდეს და ნათელას სკოლას გამოუგზავნეს. მას შემდეგ, ქ-ნ ნათელა არაერთი რომანსის ავტორი გახდა, რომელთაც მაღალ პროფესიონალურად თავად ასრულებს.

ნათელა ტაგანაშვილის ორივე ქალიშვილი ამერიკაში ცხოვრობს, სადაც წარმატებულად საქმიანობენ მუსიკისა და ტანსაცმლის დიზაინის მიმართულებით.

თამარ ქურდაძე 2003 წელს, საუკეთესო პიანისტად დასახელდა, მისმა გოგონამ კი, ქ-ნ ნათელას შვილიშვილმა, ათი წლის ლიზა გუგუბერიძემ, 2019 წელს, ნიუ-იორკში გამართულ შოპენის საერთაშორისო ფესტივალზე, ყველაზე პატარა მონაწილემ დიდებს შორის, მესამე ადგილი დაიკავა. მართლაც, საამაყოა, როდესაც შენი სისხლი და ხორცი ასეთი წარმატებებით ასახელებს ოჯახს და ქვეყანას უცხოეთის ცის ქვეშ.

ქ-ნ ცისკარი ტაგანაშვილი, ტექნიკური განათლების მიუხედავად, ბავშვობიდანვე იყო ჩართული ხელოვნების – მუსიკისა და პოეზიის სამყაროში, წერს საბავშვო ლექსებს და მშვენივრად მღერის კიდეც. ხელოვნებით არის გატაცებული უმცროსი და ბარბარე და მისი შვილებიც.

სალონურ საღამოს მისთვის ჩვეული მუხტი შესძინა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ქ-ნ მზია ხეთაგურმა, რომელმაც წლების წინ, დღეს უკვე დაკარგულ ცხინვალში, მათ სახლში გამართული სალონური საღამოები გაიხსენა და, ქ-ნ ნათელას რომანსებით მოხიბლულმა, დიურანისა და დუნაევსკის ცნობილი ვალსების კომპოზიცია შეასრულა.

დები ტაგანაშვილების სალონურ გარემოში ერთმანეთს ცვლიდა ლექსი, მუსიკა, გულწრფელი ემოცია და თბილი ღიმილი, რომელიც შეუცვლელი მკურნალია ადამიანის სულის გადასარჩენად.

დღეგრძელობას და წარმატებას ვუსურვებთ ხელოვან ქალაბატონებს. მუზის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

ეკა ბაქრაძე